



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**საქართველოს უნივერსიტეტის მიერ
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ**

ვიზიტის განხორციელების თარიღი

2021 წლის 11, 12 და 13 ოქტომბერი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ირინა ლობჯანიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ციცინო თურქაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო






ნინო ამირანაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ნანი ყავლაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ანჟელა აბულაძე, თბილისის თავისუფალი აკადემია, საქართველო

2021

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ირინა ლობჯანიძე (თავმჯდომარე) 
2. ციციწო თურქაძე (წევრი) 
3. ნანი ყავლაშვილი (წევრი) 
4. ანჟელა აბულაძე (წევრი) 
5. ნინო ამირანაშვილი (წევრი) 

ცენტრის წარმომადგენელი

1. ნინო ალავიძე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	საქართველოს უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს
დაწესებულების სახე	<input type="checkbox"/> კოლეჯი <input type="checkbox"/> სასწავლო უნივერსიტეტი <input checked="" type="checkbox"/> უნივერსიტეტი
სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობა	8000
სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ აქტიური და სტატუსს შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა ცალ-ცალკე)	<p>აქტიური სტატუსის მქონე ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობაა 6328 (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით); განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა აქტიური სტატუსის მქონე 5000 სტუდენტი</p> <p>სტატუს-შეჩერებული ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობაა 5017 (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით); განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა აქტიური სტატუსის მქონე 4448 სტუდენტი</p>
აქტიური და სტატუსს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	<p>აქტიური სტატუსის მქონე საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობაა 1796 (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით)</p> <p>სტატუს-შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობაა 1973 (თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით)</p>
აკადემიური (მათ შორის აფილირებული, არააფილირებული), სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა (გთხოვთ მიუთითოთ ცალ-ცალკე)	<p>აფილირებული: 234 პროფესორი</p> <p>არააფილირებული: 27 პროფესორი</p>
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	<p>სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მონვეული პერსონალის რაოდენობა 15;</p> <p>კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მონვეული პერსონალის რაოდენობა 5</p>
ავტორიზაციის მინიჭების თარიღი	17.06.2021
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	30.06.2021, MES 1 21 0000651542
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	17.06.2027
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	12000
მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა	4000

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა (ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი განაცხადის ფორმა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით და ვიზიტი)

მოკლე აღწერა:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის MES 6 21 0000974134 ბრძანებით შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ირინა ლობჯანიძე (თავმჯდომარე), ნინო ამირანაშვილი, ნანი ყავლაშვილი, ციცილო თურქაძე, ანჟელა აბულაძე. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა შედგა დისტანციურად 29 ოქტომბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის შპს საქართველოს უნივერსიტეტის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

უშუალოდ ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11, 12 და 13 ოქტომბერს დისტანციურ/ჰიბრიდულ ფორმატში. შეფასების ფარგლებში ZOOM პროგრამის მეშვეობით შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პრეზიდენტთან და რექტორთან, აკადემიური და რექტორის საბჭოების წარმომადგენლებთან, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, სკოლის დირექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. ექსპერტებმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პრაქტიკის ობიექტები და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს როგორც დისტანციურად ZOOM პროგრამის მეშვეობით, ასევე ადგილზე მისვლით. ვიზიტის დროს მოხდა საქართველოს უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის დათვალიერება შემდეგ მისამართებზე: კოსტავას #77, კოსტავას #77ა და გოთუას #3. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ - ნიუ ჰოსპიტალი და საერთაშორისო სტომატოლოგიური ცენტრი.

დასასრულს, დაწესებულების და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ მონიშნოთ ერთერთი)

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობით მისაღებად ამ რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით (8000-ზე მეტი სტუდენტი 2024 წლიდან და 12 000 სტუდენტი 2027 წლისათვის), სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნებისა და ქვემიზნების ეფექტური შესრულების შემთხვევაში.

განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მზად არ არის სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობით მისაღებად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების/არ გაზიარების საკითხი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შპს საქართველოს უნივერსიტეტმა წარმოადგინა თავისი არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილი გარემოებებთან დაკავშირებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის შესახებ (ბრძანება #MES 0 21 0001252264, 22/11/2021, რომელსაც დანართის სახით ერთვის დაწესებულების წერილი).

წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი უნივერსიტეტმა გაიზიარა, ნაწილს კი თავისი მოსაზრება დაურთო. დანესებულების მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, დასკვნაში ცვლილებების შეტანა არ მოხდა.

რეკომენდაციების შეჯამება

- სტუდენტთა კონტინენტის ზრდის შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის შემუშავება უფრო მეტად დაეყრდნოს SWOT და PEST ანალიზების შედეგებს, განსაკუთრებით სამომხმარებლო სეგმენტზე პოზიციონირების ზრდის და სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის კლების მიზნით, ასევე, მაქსიმალურად დაეყრდნოს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაიხვეწოს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები: აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების 12/1 თანაფარდობის 2027 წლისთვის შენარჩუნების მიზნით და მოხდეს აღნიშნული თანაფარდობის საკითხის განხილვა პროგრამების რაოდენობის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე;
- პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის შემუშავდეს ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია სააუდიტორიო საათებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენების ამოცანიდან გამომდინარე განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდილი საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით;
- რეკომენდირებულია დანესებულებამ გადახედოს სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობის ერთი პირისთვის შეთავსების პოლიტიკას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნული თანამდებობები ერთმანეთთან იერარქიულად არის დაკავშირებული;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების PDCA ციკლის მიხედვით განხორციელებისთვის რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა სათანადო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით;
- რეკომენდირებულია კონტინენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად;
- რეკომენდირებულია დანესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა სრულ შესაბამისობაში იყოს მართვის დებულებასთან;
- სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ინფრასტრუქტურის განახლება;
- რეკომენდირებულია დანესებულებამ გადახედოს მის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის, პროგრამებისა და სტუდენტების თანაფარდობების მხრივ და კორექტირება შეიტანოს მასში სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

- პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადამწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
- შემუშავდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის გეგმა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ეფექტური განხორციელების მიზნით;
- მოხდეს კვლევითი აქტივობების სწავლების პროცესში ინტეგრირება განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით);
- მოხდეს უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმის დახვეწა მიმართულებების საჭიროებების გათვალისწინებით h-ინდექსის, i10-ინდექსის მითითებით;
- ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო წესი თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაიხვეწოს დოქტორანტურის სწავლების დებულების გრანტის გაცემის წესი ვადებისა და კრიტერიუმების კუთხით კონკრეტული მიმართულებების საჭიროებიდან გამომდინარე და შემუშავდეს სტრატეგია აღნიშნული წესის გამართვისა სტუდენტების კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე;
- დაიხვეწოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, შერჩევის, სწავლების პროცესში ჩართვისა და შენარჩუნების სტრატეგია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური კონტინგენტის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე;
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად განეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

რჩევების შეჯამება

- სასურველია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში კოლეგიალური ორგანოების როლის გაძლიერება, მათი შემადგენლობის გამრავალფეროვნება და შემომწმებისა და დაბალანსების მექანიზმების გააქტიურება;
- საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ქართულის ენის სწავლება ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე, რათა მედიცინის სტუდენტებმა შეძლონ პაციენტთან დამოუკიდებლად კომუნიკაცია და შეიძინონ კარგი კომუნიკაციური უნარები პაციენტებთან ურთიერთობისთვის;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალს სჭირდება ტრენინგი ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის არსისა და მისი ჩატარების შესახებ;
- კარგი იქნება თუ სკოლის საბჭოში სტუდენტების წარმომადგენელი არჩეული იქნება არა სემესტრულად, არამედ ერთი წლის ვადით;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში სასურველია, გაფორმდეს დამატებითი მემორანდუმები სხვადასახვა ორგანიზაციასთან/კომპანიასთან/სამედიცინო დაწესებულებასთან, რათა სტუდენტთა პრაქტიკული ნაწილი განხორციელდეს შეუფერხებლად და ეფექტურად;
- სასურველია უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ნათელი ხედვა დისტანციური სწავლების პლატფორმებისა და ელექტრონული სწავლების მიდგომების გამოყენებისა პანდემიის შემდგომ ეტაპზე, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეამციროს მოთხოვნა სააუდიტორიო ფართზე. ასეთი ხედვები და შეფასებები დაფიქსირდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლების მიერ ამ ეტაპზე ეს საკითხი არ არის სათანადოდ შეფასებული და გათვლილი.

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

შეაფასეთ რამდენად უკავშირდება ინსტიტუციის მიერ სტრუქტურა ზღვრული რაოდენობის გაზრდა უსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

უკავშირდება ნაწილობრივ უკავშირდება

არ უკავშირდება

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

მისია

შპს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით 2019 წელს (სხდომის ოქმი N43/19) დამტკიცდა უნივერსიტეტის მისია, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ცოდნის წარმოებასა და პიროვნების განვითარებაზე, რაშიც იგულისხმება ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივება კეთილსინდისიერი შრომითი წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარების გზით. უნივერსიტეტის მისია პირდაპირ კავშირშია ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასთან და განხორციელებასთან შემოქმედებითობის, ინოვაციური და სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზების გზით, რითაც ხდება წვლილის შეტანა საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ. მისიის ფოკუსი პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის ხედვასა და ღირებულებებთან, რომლებიც, თავის მხრივ, უკავშირდება თავისუფლებას, ჰუმანურობასა და სრულყოფილებისკენ სწრაფვას. უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებული როლი ვლინდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზეც. ამის ნათელ დასტურს, ერთი მხრივ, როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების არსებობა წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების დიდი რაოდენობა. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ უნივერსიტეტის ძირითადი პროფილი თავსებადია მისიაში გაცხადებულ ხედვასა და ღირებულებებთან. ინტერვიუების პროცესშიც გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები იცნობდნენ მისიას და აცნობიერებენ უნივერსიტეტის როგორც დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის დანიშნულებას ცოდნის შექმნისა და გაზიარების თვალსაზრისით და ცდილობენ საერთაშორისო პროგრამების რაოდენობის გაზრდას უნივერსიტეტის ხედვის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს რეგიონში მონივნავე ლიბერალური ღირებულებების მქონე საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მისია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად.

სტრატეგიული განვითარება

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისს (MES 1 21 0000651542) შპს საქართველოს უნივერსიტეტს (ს/კ: 205037137) 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით, ხოლო სტრუქტურა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 8000. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მისიის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი ვერსიაც, ხოლო 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულად. 2021 წლის 23 ივლისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული შპს საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადის (#03-8881) საფუძველზე ვლინდება, რომ ავტორიზაციის თვითშეფასებაში რაოდენობრივი მაჩვენებლების კომპონენტში, კერძოდ, კი „სტუდენტების

მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის” ველში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, რომლის მიხედვით 12000 სტუდენტის ნაცვლად ჩანერილი იყო 8000 სტუდენტი. აღნიშნულმა კი გამოიწვია ავტორიზაციის საბჭოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომელშიც სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად განესაზღვრა 8000. ინტერვიუების პროცესში უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ იმ პერიოდიდან მოყოლებული უნივერსიტეტის როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი გეგმა არ შეცვლილა, რადგანაც მასში თავიდანვე გათვალისწინებული იყო 12000 სტუდენტის თანმიმდევრული დამატების საკითხი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად შპს საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია გრძელვადიანი (7-წლიანი) სტრატეგიული განვითარების და მოკლევადიანი (3-წლიანი) სამოქმედო გეგმები, რომლებსაც საფუძვლად უდევს უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი (SWOT ანალიზი, PESTR ანალიზი და კონკურენციის ანალიზი). სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის საკითხის განხილვა ხდებოდა, ძირითადად, გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების წარმოდგენილ გეგმაზე დაყრდნობით, ხოლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მოკლევადიანი გეგმა (2019-2022) და სხვა დოკუმენტაცია განიხილებოდა, როგორც დამხმარე რესურსი. სტრატეგიის დოკუმენტები შემუშავებულია უნივერსიტეტში არსებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და მონიტორინგის მექანიზმების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პერიოდია 2020-2028 წლები, რომლის მიხედვით განერილია უნივერსიტეტის ძირითადი სამოქმედო მიზნები, ქვემიზნები, მიზნების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები და ფინანსური მაჩვენებლები.

ძირითად სამოქმედო მიზნებს შორის სახელდება:

1. სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციას, გაცვლით პროგრამებს და არანაკლებ 40% მუდმივი უცხოელი სტუდენტებისა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიზანი არ წარმოადგენს უნივერსიტეტის მისიის ნაწილს, სტუდენტების ოდენობა კი ცდება თვითმეფასების ანგარიშში მითითებულ ოდენობას, რომლის მიხედვით “მუდმივი სტუდენტების არანაკლებ 50% უცხოელია”. ინტერვიუების პროცესშიც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმაც არაერთხელ დაადასტურეს, რომ უცხოელი სტუდენტების ოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 50%-ისა.
2. მომსახურებისა და მენეჯმენტის ვირტუალიზაცია, დისტანციური ონლაინ-სწავლების დანერგვა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტში უკვე გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები, რაც ვლინდება, როგორც ადმინისტრირებისა და საქმისწარმოების ვირტუალიზაციაში, ასევე სტუდენტებზე ორიენტირებული სისტემით და სპეციალურად ამ ამოცანიდან გამომდინარე Microsoft teams პლატფორმის დანერგვით.
3. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პრესტიჟის და რეპუტაციის ზრდა, რომელიც გულისხმობს დიფერენცირების ინოვაციურობით და სწავლების მაღალი ხარისხით. აღნიშნული დიფერენცირება კი პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებთან, პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან და სხვა ფაქტორებთან.
4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა და სტუდენტებში ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრების მიზანი. აღნიშნული მიზანი, ასევე კავშირშია უნივერსიტეტში არსებულ პროგრამებთან და ვლინდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ურთიერთობაში.
5. საუნივერსიტეტო კამპუსის ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხთან და გულისხმობს ინფრასტრუქტურის თანმიმდევრულ დამატებას სტრატეგიის მიხედვით განსაზღვრული გეგმის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მიზნების გარდა თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია კიდევ ერთი მიზანი, კერძოდ, “სამეცნიერო დონისა და წარმადობის ზრდა”, რომელიც უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში ნახსენები არ არის.

ძირითადი სამოქმედო მიზნების გარდა, დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინსტიტუციური მიზნები და ქვემიზნები წარმოადგენს, რომლებიც ემსახურება სამოქმედო მიზნების განხორციელებას.

1. საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა სხვადასხვა ქვემიზნის მოიცავს, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მაღალი ხარისხით წარმართვაზე აკადემიური კალენდრის მიხედვით და ელექტრონულ გამოცდებზე გადასვლით. დღევანდელი მდგომარეობით უნივერსიტეტის ელექტრონული ადმინისტრირების სისტემა საკმაოდ მრავალმხრივად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობას. ინტერვიუების პროცესშიც დადგინდა, რომ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა სამუშაოს გართულებას მატერიალური თვალსაზრისით არ გამოიწვევს, თუმცა ამ ეტაპზე უნივერსიტეტი არ განიხილავს პანდემიის შემდგომ ეტაპზე სააუდიტორიო საათების შემცირების შესაძლებლობას ვირტუალური გარემოს გამოყენების ხარჯზე;
- სწავლების ხარისხის მუდმივი ამაღლების უზრუნველყოფაზე, რომელიც მდგომარეობს ბაზრის მოთხოვნებით განპირობებული პროგრამების განვითარებაში და განაპირობებს ჯანსაღ კონკურენციას არსებულ პროგრამებს შორის. აღნიშნული ქვემიზნის განუყოფელ ნაწილს არსებული პროგრამების რეაკრედიტაცია და ახალი პროგრამების აკრედიტაცია წარმოადგენს. თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა 67-ს შეადგენს, ხოლო სტრატეგიული გეგმის მიხედვით 2020-2027 წლებში 32 პროგრამა განეკუთვნება ქართულენოვან საბაკალავრო და/ან ერთსაფეხურიან პროგრამებს, 16 - ინგლისურენოვან საბაკალავრო და/ან ერთსაფეხურიან პროგრამებს, 17 - ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამებს, 8 - ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებს, 8 - სადოქტორო პროგრამებს, რაც ჯამურად 81 პროგრამას შეადგენს. სხვაობა თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულ აკრედიტებული პროგრამების რაოდენობასა და სტრატეგიულ გეგმაში მითითებულ რაოდენობას შორის მეტყველებს პროგრამების თანმიმდევრული აკრედიტაციის შესახებ სტუდენტებისათვის შემოთავაზების მიზნით. აღნიშნულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც ადასტურებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ პროგრამების რაოდენობის ზრდა ნიშნავს სამუშაო ადგილების მატებას და პირდაპირ კავშირშია სტუდენტების რაოდენობასთან, რომლის თანმიმდევრულ გაზრდას უნივერსიტეტი გეგმავს მოქმედი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.
- საერთაშორისო კონკურსებში/ოლიმპიადებში სტუდენტების/სტუდენტური გუნდების მონაწილეობის უზრუნველყოფაში იგულისხმება სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო მედიაციის, საერთაშორისო კომერციული მედიაციის ტურნირებში და სხვა აქტივობებში, რასაც სხვადასხვა სკოლა უზრუნველყოფს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც არ ხედავდნენ რაიმე დაბრკოლებას აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში.
- გამომგონებლური, ინოვაციური და სამენარმეო უნარების ხელშეწყობა/განვითარებაში იგულისხმება საგამომგონებლო ინიციატივების ხელშეწყობა start-up-ების სახით ინვესტიციების განხორციელების გზით, ტექნოლოგიებზე ორიენტირებული კურსების შემოღება და სხვ.
- ახალი პროგრამების აკრედიტაციის გავლა და შემდგომ ამუშავება და 2019 წლიდან დისტანციური ონლაინ-სწავლების კომპონენტის დანერგვა. როგორც პირველი, ასევე მეორე ორიენტირებულია სტუდენტური კონტინგენტის თანმიმდევრულ ზრდაზე და გულისხმობს პროგრამების შემუშავებასა და აკრედიტაციას, ვიდეო

ლექციების ჩანერას, ელექტრონული სწავლების ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას და სხვ. ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს პროგრამების შემუშავებაზე, ფლობს ელექტრონული სწავლების ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ყველანაირად ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ელექტრონულ ადმინისტრირებას UG online სისტემის გამოყენების გზით.

- გაცვლითი პროგრამების გამრავალფეროვნება და დასავლურ უნივერსიტეტებთან ერთად პროგრამების განხორციელება გულისხმობს სტუდენტების საერთაშორისო სასწავლო სივრცეში ჩართვას სხვადასხვა საშუალებების გამოყენების გზით, მათ შორის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ოფიციალურად გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა ამ ეტაპზე უნივერსიტეტს არ გააჩნია ორმაგ ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები.
 - ლიბერალური ღირებულებების დანერგვა სტუდენტებში პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულ ღირებულებებთან. ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება აკადემიური პერსონალის ჩართულობა სხვადასხვა ლექციების განხორციელებაში. ინტერვიუების პროცესშიც გამოვლინდა, რომ აკადემიური პერსონალი არ ხედავს საშუაო დატვირთვის გაზრდის საშემოქმედებას სტუდენტური კონტინენტის გაზრდის შემთხვევაში.
2. სამეცნიერო მიზნების მიღწევა სხვადასხვა ქვემიზანს მოიცავს, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია:
- 2020-2027 წლებში Scholar-ის, Scopus-ის და Web of Science-ის ბაზებში არსებულ მაღალინფლუენციანი (IF > 0.7) ჟურნალებში საქართველოს უნივერსიტეტთან აფილირებული პროფესორების არანაკლებ 850 სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება, რაც გულისხმობს კონკრეტული მიმართულებების პრიორიტეტულობას ამ თვალსაზრისით. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათემატიკისა და არქეოლოგიის, ჯანდაცვისა და საბუნებისმეტყველო მიმართულებები. აღნიშნულ მიზანს, ასევე ემსახურება უნივერსიტეტში შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი და შიდაკოლაბორაციული პროექტების შემუშავება. აღნიშნულ მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, აღსანიშნავია უნივერსიტეტში ამ ეტაპზე არსებული აფილაციის წესი, რომელიც არ ავალდებულებს პროფესორებს სწავლებაში მონაწილეობის მიღებას და გულისხმობს 10 საშუაო საათს, რომელსაც აკადემიური პერსონალი უთმობს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ნახალისების სქემა “პრემიის გაცემის წესი”, რომლის მიხედვით პრემიის მისაღებად უნივერსიტეტთან აფილირებულ პროფესორებს სჭირდება სტატიის გამოქვეყნება Elsevier-ის ან Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალში. აღნიშნულს უნივერსიტეტთან არსებული აფილირებული პროფესორაც ადასტურებდა ინტერვიუების პროცესში.
 - ზემოხსენებული მიზნის მიღწევას სხვა ქვემიზნებიც ემსახურება, კერძოდ, სამშვილდის არქეოლოგიური ცენტრისა, საბუნებისმეტყველო მიმართულებების განვითარება და გამოყენებით-კვლევითი საქმიანობა საჯარო პოლიტიკის მიმართულებით.
3. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ამოცანიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციური მიზნებსა და ქვემიზნებს: 1. ავტორიზებულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება 2021 წლიდან; 2. სტუდენტების საერთო რაოდენობის ქვოტის 12,000-მდე გაზრდა; 3. საერთაშორისო სტუდენტების ყოველწლიური მისაღები კონტიგენტის გაზრდა 2000 სტუდენტამდე 2025-2026 აკადემიური წლისთვის; 4. მუდმივი აკადემიური პერსონალის 20%-ის საერთაშორისო მაღალი რანგის პროფესორით დაკომპლექტება 2020-2025; 5. ხარისხის საერთაშორისო სისტემის - ISO 9001-ის დანერგვა, 2019-2021 წწ.; 6. 2027 წლისთვის საქართველოში

ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტად ქცევა; 7. 2021-2027 წწ. ყოველწლიური საუნივერსიტეტო საზაფხულო ბანაკების ორგანიზება; 8. ინვესტიციების განხორციელება პოტენციურად წარმატებულ ბიზნესებში საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციის მიზნით; 9. საუნივერსიტეტო კამპუსის ინფრასტრუქტურის განვითარება. და, შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია შემდეგი ქვემიზნები:

- ავტორიზებულ რეჟიმში მუშაობის გაგრძელება 2021 წლიდან, რაც უნივერსიტეტის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე მიღწეულია, კერძოდ, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში (MES 1 21 0000651542) 8000 სტუდენტის ადგილების ზღვრული რაოდენობით.
- სტუდენტების საერთო რაოდენობის კვოტის 12,000-მდე გაზრდა არ გულისხმობს უკვე არსებულ 8000 სტუდენტზე 4000-ის დამატებას, არამედ სტუდენტთა რაოდენობის თანმიმდევრულ ზრდას აკადემიური წლების მიხედვით. აღნიშნული ზრდა ფარავს პერიოდს 2000 წლიდან 2028 წლამდე და მოიცავს საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტების ზრდის კოეფიციენტს. ამ მხრივ, სტრატეგიულ გეგმის სტუდენტების წლიური მისაღები კონტიგენტის და სტუდენტების საერთო რაოდენობის გეგმაში გამოვლინდა უზუსტობა 2022-2023, 2025-2026 და 2026-2027 წლების სტუდენტების ჯამური რაოდენობის თვალსაზრისით, კერძოდ, გეგმაში ასახულია რომ 2022-2023 წლებში სტუდენტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 6608 არადა აღნიშნული რიცხვი 6609 შეესაბამება, 2025-2026 წლებში - 9917 არადა აღნიშნული რიცხვი 9918 შეადგენს და 2026-2027 წლებში - 10930 არადა აღნიშნული რიცხვი 10929-ს უტოლდება. მიზნის მიღწევის სტრატეგიაში არაერთხელ ნახსენებია საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების მე-7 თავით განსაზღვრული მინიმალურ სტანდარტი - 1 სტუდენტზე 2 კვ.მ. სასწავლო ფართი, რომლის გამოთვლა თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით ეყრდნობა 7946 კვ.მ. სასწავლო ფართის სამ ცვლაში გამოთვლას, რაც უნივერსიტეტის განაცხადით უზრუნველყოფს 12000 სტუდენტის მიღების შესაძლებლობას. თუმცა თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი კალკულაციით (7946კვ.მ.* 3 ცვლა/2 სტუდენტი/კვ.მ.*ცვლა=12000სტუდენტი) ამ ეტაპზე უნივერსიტეტი 1 სტუდენტზე მხოლოდ 1,98 კვ.მ. უზრუნველყოფს, რაც განსაზღვრულ წინააღმდეგობაშია როგორც საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულებასთან, ასევე სტრატეგიულ გეგმასთან და სხვა დოკუმენტაციასთან. ამ თვალსაზრისით განსაზღვრულ ეჭვებს ინვევს, ასევე, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან (დანვრ. იხ. სტანდარტი 4) და ისიც, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნია სააუდიტორიო ფართების ვირტუალური შესაძლებლობებით ჩანაცვლების სტრატეგია პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის;
- საერთაშორისო სტუდენტების ყოველწლიური მისაღები კონტიგენტის გაზრდა 2000 სტუდენტამდე 2025-2026 აკადემიური წლისთვის, რომელიც, ასევე, გულისხმობს საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობის თანმიმდევრულ ზრდას აკადემიური წლების მიხედვით. აღნიშნული ქვემიზნის მიღწევა სავსებით შესაძლებელია, თუმცა ინტერვიუების პროცესში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა არაერთხელ აღნიშნეს როგორც საკონონმდებლო პრობლემები, ასევე დიპლომატიური კავშირების არასაკმარისობა, რაც განსაზღვრულ დონეზე ინვევს სტუდენტების სტატუსის შეჩერებას და სხვ.
- მუდმივი აკადემიური პერსონალის 20%-ის საერთაშორისო მაღალი რანგის პროფესურით დაკომპლექტება 2020-2025 გულისხმობს ინგლისურენოვანი უცხოელი პროფესორის მონვევას, რომლის აკადემიური პოტენციალი შესაბამისობაში იქნება აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტანდარტთან (პუბლიკაციების რაოდენობისა და ციტირების ინდექსის მიხედვით).

ინტერვიუების პროცესში როგორც ადამიანური რესურსების განვითარების სამსახური, ასევე უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებიც აღნიშნავენ ასეთი პროფესურის უნივერსიტეტში დასაქმების შესაძლებლობას.

- საუნივერსიტეტო კამპუსის ინფრასტრუქტურის განვითარება გულისხმობს მინის ნაკვეთების შექმნას, ცალკეული შენობა-ნაგებობების დაპროექტებას, პროექტების შესაბამის უწყებებთან შეთანხმებას და 2027 წლისთვის 4000 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებლების კომპლექსისა და კამპუსის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსის მშენებლობას. 2027 წლისთვის, ასევე ივარაუდება 12000 სტუდენტზე გათვლილი სასწავლო კორპუსების, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის მონყობის დასრულება. აღნიშნული ქვემიზნების მისაღწევად ამ ეტაპზე უნივერსიტეტი ახდენს ფინანსების მოძიებას და შესაბამის უწყებებთან მოლაპარაკებას.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტს სტრატეგია სტუდენტური კონტინენტის ზრდის მიზნის მიღწევას მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს თანმიმდევრული პარალელური აქტივობების განხორციელების გზით. მიზნების უმეტესობა მისიიდან გამომდინარეობს, თუმცა არსებობს განსაზღვრული დონის ცდომილება უნივერსიტეტის მისიასა და ჩამოთვლილ სტრატეგიულ მიზნებს შორის, კერძოდ, პირველი სტრატეგიული მიზანი - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის მისიაში ნახსენები არ არის. გარდა ამისა, ერთმანეთს ცდება თვითშეფასების ანგარიშში და სტრატეგიულ გეგმაში მითითებული მიზნები, კერძოდ, სტრატეგიის გეგმაში არაა ნახსენები „სამეცნიერო დონისა და წარმადობის ზრდა“ ანდა თვითშეფასების ანგარიშში ნახსენება „მუდმივი სტუდენტების არანაკლებ 50% უცხოელია“, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში „მუდმივი სტუდენტების არანაკლებ 40% უცხოელია“. ნებისმიერ შემთხვევაში სტუდენტური კონტინენტის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხდება საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის აშენება-გამართვა, სტუდენტური კონტინენტის ზრდის ნიშნულების გადახედვა ინფრასტრუქტურისა და სტუდენტების/პერსონალის თანაფარდობიდან გამომდინარე, და აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის მართვის გაუმჯობესება.

შპს საქართველოს უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტი, რომლითაც უნივერსიტეტი სარგებლობს სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი, თუმცა როგორც ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა დამსაქმებულების უმეტესობა ამავე უნივერსიტეტში მოღვაწეობს და აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ, როგორც უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალი, სტუდენტების რაოდენობის ზრდის საკითხიც ნაკლებად ჰქონდათ გააზრებული დასაქმების პერსპექტივიდან გამომდინარე, ასევე სტუდენტების მხრიდანაც არ შეინიშნებოდა სტრატეგიული გეგმის შედგენაში აქტიური მონაწილეობა და ცხადი იყო, რომ მონაწილეობას იღებენ შიდასაუნივერსიტეტო აქტივობებში შესაბამისი დაფინანსებით.

უშუალოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს პერიოდს 2020 წლიდან 2028 წლამდე და მოიცავს უნივერსიტეტის ფუნქციონირების აუცილებელ ასპექტებს, მათ შორის ინფრასტრუქტურის განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, პროგრამების დაგეგმვას და სწავლების პროცესის უზრუნველყოფას, სტუდენტთა კონტინენტის ზრდას, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ნახალისებას, ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას და სხვ., თუმცა რიგ შემთხვევაში სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი ნიშნულები საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას გეგმაზე თანდართული SWOT და PESTR ანალიზებში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგ. სამომხმარებლო სეგმენტზე პოზიციონირების ზრდა, სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის კლება და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გეგმაში განვიხილოთ მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი

მატერიალური და ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროება და მატერიალური რესურსების განსავითარებლად საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზაციის საჭიროება.

შპს საქართველოს უნივერსიტეტში არსებული რეგულაციებისა და პროცედურების შესაბამისად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს იღებს შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, რომელსაც, თავის მხრივ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში დანერგული ელექტრონული სისტემების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებული ელექტრონული სისტემა ბევრი პროცესის ავტომატიზირების საშუალებას იძლევა, თუმცა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა გამოიწვევს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების (სტუდენტური საქმეების ცენტრი, საერთაშორისო სტუდენტების ინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და სხვ.) განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის საჭიროებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის მისია;
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027 წწ;
- საქართველოს უნივერსიტეტის, როგორც ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება (17.03.2021);
- საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (23.07.2021);
- საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N43/19;
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და მონიტორინგის მექანიზმები;
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის შემუშავება უფრო მეტად დაეყრდნოს SWOT და PEST ანალიზების შედეგებს, განსაკუთრებით სამომხმარებლო სექტორზე პოზიციონირების ზრდის და სტუდენტებში უნივერსიტეტისადმი ინდიფერენტობის კლების მიზნით, ასევე, მაქსიმალურად დაეყრდნოს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით;
- დაიხვეწოს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები: აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების 12/1 თანაფარდობის 2027 წლისთვის შენარჩუნების მიზნით და მოხდეს აღნიშნული თანაფარდობის საკითხის განხილვა პროგრამების რაოდენობის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე;
- პანდემიის შემდგომი პერიოდისთვის შემუშავდეს ელექტრონული/ვირტუალური გარემოს ეფექტური გამოყენების სტრატეგია სააუდიტორიო საათებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენების ამოცანიდან გამომდინარე განსაკუთრებით უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდილი საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

შეაფასეთ ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში, მათ შორის თუ როგორ განსაზღვრავს ინსტიტუცია სტუდენტების რაოდენობას პროგრამებზე, რამდენ სტუდენტს მიიღებს ყოველწლიურად სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის გათვალისწინებით, რა წინაპირობების დაკმაყოფილებით და ა.შ. (ამის გათვალისწინებით, გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა სრულად იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ნაწილობრივ იძლევა შესაძლებლობას შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციაში არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა შესაძლებლობას არ იძლევა შენარჩუნებულ იქნას შესაბამისი პირობები სტუდენტთა წარმატებისათვის, გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგენილია მისი მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით და მოიცავს ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულს, რაც აუცილებელია მისი სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისთვის, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს უნივერსიტეტის ეფექტურ მართვას სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდას თან უნდა სდევდეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური რესურსის ზრდაც. კერძოდ, ეს საკითხებია:

- ერთი და იმავე პირის მიერ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობის შეთავსება, მაგ.: ერთი ადამიანი იკავებს ორ (აკრედიტაციის განყოფილების უფროსი; უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი) და სამ (პრორექტორი აკადემიურ და სამეცნიერო დარგში; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი) თანამდებობას და სხვ.
- მნიშვნელოვანი ძალაუფლების კონსოლიდირება რამდენიმე ადამიანში (უნივერსიტეტს აქვს ორი საზედამხედველო ორგანო - პარტნიორთა კრება და პრეზიდენტები. პარტნიორთა კრება შედგება ორი წევრისგან, რომლებიც ამასთანავე არიან უნივერსიტეტის პრეზიდენტები და ფლობენ უნივერსიტეტს. ამასთანავე, ძირითადი გადაწყვეტილებების დიდი უმრავლესობა მიიღება რექტორის მიერ, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის მთავარ ორგანოს. მნიშვნელოვანი ძალაუფლების თავმოყრამ რამდენიმე ადამიანში უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის გაზრდილი რაოდენობის პირობებში შესაძლებელია ხელი შეუშალოს მიუკერძოებელი,

ეფექტური და დაბალანსებული გადანყვეტილებების მიღებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გადანყვეტილებების მიღების პროცესებში კოლეგიალური ორგანოების როლის გაძლიერება, მათი შემადგენლობის გამრავალფეროვნება და შემოწმებისა და დაბალანსების მექანიზმების გააქტიურება.

- გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა გარკვეული შეუსაბამობები ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვის დებულებაში მოცემული სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს შორის, მაგ., ამ ორ დოკუმენტში მითითებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილებების სხვადასხვა ჩამონათვალი, ხოლო მართვის დებულებაში გამორჩენილია წარმომადგენლობითი საბჭოს შესახებ ინფორმაცია. იმისათვის, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული პირებისა და სტუდენტებისთვის ნათელი იყოს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და მათ შორის ურთიერთკავშირი, აუცილებელია ეს ორი დოკუმენტი შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან.
- უნივერსიტეტში შემუშავებულია კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც აღწერილია „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“, თუმცა დოკუმენტში მოცემული ინდიკატორები არ ითვალისწინებს მატერიალურ რესურსს (გარდა ფართისა), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობას, ხოლო აკადემიური და მონვეული პერსონალის თანაფარდობები არის ზოგადი, საუნივერსიტეტო და არ განსხვავდება ცალკეული პროგრამების/დარგების სპეციფიკის მიხედვით. უფრო დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ კონტინენტის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუზე არ იყო ნათელი, თუ რა გათვლებს ეფუძნებოდა კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინენტის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დანესებულებამ უნდა შეიმუშაოს კონტინენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმი, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად.
- უნივერსიტეტში ამოქმედებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დებულებაში. აღნიშნული დებულება შემუშავებული და დამტკიცებულია 2020 წლის 24 ნოემბერს, შესაბამისად, დღეისათვის არ არსებობს სრული ინფორმაცია იმის თაობაზე, რამდენად ეფექტურად მოქმედებს უნივერსიტეტში აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი მექანიზმი. უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ექვემდებარება პრორექტორს აკადემიურ და სამეცნიერო დარგში. ვიზიტის დროს ჯგუფმა შენიშნა, რომ ამ ორ თანამდებობას იკავებს ერთი და იგივე პირი. ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით, დღეისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება 4 თანამშრომლისგან, რომელთაგან ორი ითავსებს სხვა ადმინისტრაციულ თანამდებობასაც. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების PDCA ციკლის მიხედვით განხორციელებისთვის უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს აღნიშნული სამსახურის შემადგენლობა სათანადო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით, მათ შორის სასურველია იყვნენ სოციოლოგიის მიმართულების აკადემიური განათლების ან სამუშაო გამოცდილების მქონე პირებიც, რომლებიც ჩართულები იქნებიან კითხვარების შედგენისა და დამუშავების პროცესებში.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მოკლევადიანი გეგმა 2019-2022 წლისათვის. აღნიშნული გეგმა ზოგადი ხასიათისაა და მასში არ გვხვდება კონკრეტული ინდიკატორები, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენა, რამდენად მიაღწია დანესებულებამ გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი მეტწილად ორიენტირებულია საერთაშორისო აკადემიური პერსონალისა და

სტუდენტების მოზიდვაზე და გეგმავს საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამების შემუშავებას.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პლაგიატის პრევენციის მექანიზმი და შექმნილი აქვს ელექტრონული სისტემა Turnitin, რომელიც ხელს უწყობს პლაგიატის პრევენციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა (სქემა);
- საქართველოს უნივერსიტეტის მართვის დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- პერსონალის დაგეგმვის სახელმძღვანელო (წარმოდგენილი იყო ვიზიტის განმავლობაში);
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის ჩამონათვალი (წარმოდგენილი იყო ვიზიტის განმავლობაში);
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მოკლევადიანი გეგმა (2019-2022);
- საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ გადახედოს სხვადასხვა ადმინისტრაციული თანამდებობის ერთი პირისთვის შეთავსების პოლიტიკას, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა აღნიშნული თანამდებობები ერთმანეთთან იერარქიულად არის დაკავშირებული;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების PDCA ციკლის მიხედვით განხორციელებისთვის რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობის გაზრდა სათანადო რაოდენობის კვალიფიციური კადრებით;
- რეკომენდირებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად;
- რეკომენდირებულია დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა სრულ შესაბამისობაში იყოს მართვის დებულებასთან.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- სასურველია გადანაცვლებების მიღების პროცესებში კოლეგიალური ორგანოების როლის გაძლიერება, მათი შემადგენლობის გამრავალფეროვნება და შემოწმებისა და დაბალანსების მექანიზმების გააქტიურება.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

შეაფასეთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუციაში არსებული პროგრამები სტუდენტთა მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში; რამდენად იქნება შესაძლებელი პროგრამებში გამოყენებული დარგის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდების განხორციელება და პროგრამებით

გათვალისწინებული შედეგების მიღწევა, სტუდენტთა გაზრდილი ოდენობის ფარგლებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

X ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში, ნაწილობრივ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

ინსტიტუციაში არსებული პროგრამები და სწავლების მეთოდები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის პირობებში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საგანმანათლებლო პროგრამების მართვის დებულების მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული. საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად და იცავს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებს (ECTS). ყველა საგანმანათლებლო პროგრამა გადასულია სამკომპონენტო სწავლის შედეგებზე, რომელიც მოიცავს ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დიდი წილი აკრედიტებულია. 2021 წლის მონაცემებით ჩანს, რომ უნივერსიტეტის 67 პროგრამა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) აკრედიტებულია/ავტორიზებულია. თუმცა უნივერსიტეტი გეგმავს ახალი პროგრამების დაწყებას როგორცაა, მაგ.: ნანოტექნოლოგიები, ბიოტექნოლოგიები, ფინანსები, ქიმია, სამოქალაქო ინჟინერია და სხვ. ამ პროგრამების აკრედიტაციის საკითხი არ არის ნათელი. ამ უკანასკნელი პროგრამების შინაარსის შეფასება ვერ მოხერხდა, რადგან არ იყო წარმოდგენილი უნივერსიტეტის მიერ.

უნივერსიტეტის მიერ მონოდედებული პროგრამების სწავლის შედეგები გასაგებად არის ჩამოყალიბებული, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურია, აგებულია სწავლების შედეგებზე. სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება გონივრულ ვადებში დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. მთლიანობაში, პროგრამების შინაარსი შეესაბამება მიზნებს, სტრუქტურა კი საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეუფერხებლად მიაღწიონ პროგრესს.

ყველა საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამებში არის 120 კრედიტი, ხოლო სადოქტორო პროგრამებში - 180 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამა შედგება 360 კრედიტისგან (6 წლიანი სწავლება), ერთსაფეხურიანი სტომატოლოგიის პროგრამა შედგება 300 კრედიტისგან (5 წლიანი სწავლება). უნივერსიტეტის პროგრამების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია პროგრამების კატალოგი.

საქართველოს უნივერსიტეტი მუშაობს პროგრამის განახლებაზე და განვითარებაზე. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას აღიარებული საერთაშორისო მაკრედიტირებელი ორგანიზაციების მიერ (ქვემოთ იხ. ინფორმაცია ჯანდაცვის მეცნიერებების სკოლაზე). ა.წ მარტში უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლამ მოიპოვა Ceeman-ის საერთაშორისო აკრედიტაცია. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა მუშაობს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების ABET-ის (Accreditation Board for Engineering and Technology) საერთაშორისო აკრედიტაციის მიღებაზე.

სამედიცინო განათლება

საქართველოს უნივერსიტეტი გეგმავს მოიზიდოს უფრო მეტი საერთაშორისო სტუდენტი მედიცინის პროგრამაზე. უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამები შეესაბამება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და მედიცინის დარგობრივ მახასიათებლებს (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები, მედიცინა, სსიპ საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018).

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებების სკოლამ 2019 წელს მიმართა საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოს (ASIIN /"Accreditation Agency Specialized in Accrediting Degree Programs in Engineering, Informatics, the Natural Sciences and Mathematics"). ამჟამად საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოსა (ASIIN) და ევროპის სამედიცინო სკოლების ასოციაციის (AMSE) ექსპერტთა გაერთიანებული ჯგუფის მიერ ხორციელდება ჯანდაცვის მეცნიერებების სკოლის მედიცინის პროგრამის აკრედიტირების პროცესი უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სტანდარტების / გაიდლაინებისა (European Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area (ESG) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (World Federation for Medical Education) სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამის სწავლების მეთოდები ემყარება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მთავარ მოთხოვნას. გამოყენებულია სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), სიმულაციური სწავლება (სიმულაციური პაციენტის გამოყენებით). გასაუბრების დროს დადგინდა, რომ როგორც პედაგოგები, ისე სტუდენტები იცნობენ ამ მეთოდებს.

მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამა ინგლისურენოვანია, პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის სწავლებას, თუმცა ვიზიტის ფარგლებში (სტუდენტებთან შეხვედრა, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება) გაირკვა, რომ სტუდენტებმა არ იციან ქართული ისეთ დონეზე, რომ დამოუკიდებლად იურთიერთონ პაციენტთან, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის ექიმის ერთ-ერთი ფუნდამენტური უნარ-ჩვევის - ანამნეზის შეკრების, პაციენტის კონსულტაციის - განვითარებას. ამ ეტაპზე კომუნიკაცია მიმდინარეობს პედაგოგის დახმარებით. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან ერთად შესაძლებელია ეს პრობლემა გაღრმავდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია ქართული ენის სწავლების გაძლიერება.

როგორც ძირითადი კლინიკური როტაციების/კლერკშიფების სილაბუსებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, სტუდენტების საბოლოო შეფასება (გამოცდა) აღნიშნული როტაციების დროს ხდება MCQ ტესტით, კლინიკური შემთხვევის განხილვით, ლია კითხვებით. სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის AMEE - რეკომენდაციით ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) ითვლება კლინიკური საგნების დროს სტუდენტის შეფასების საუკეთესო მეთოდად (ამასვე ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლები), ვინაიდან ის საშუალებას იძლევა ცოდნასთან ერთად შეფასდეს ექიმის ისეთი ფუნდამენტური უნარები როგორცაა ანამნეზის შეკრების, ფიზიკური გასინჯვის, კომუნიკაციის, კონსულტაციის, პაციენტის მართვის უნარი. უნივერსიტეტს აქვს გამოყოფილი ფართი ასეთი ტიპის გამოცდისთვის და იყენებს ოსკის ტიპის გამოცდას თუმცა მხოლოდ კლინიკური უნარ-ჩვევების შემთხვევაში. ვინაიდან უნივერსიტეტს აქვს ამბიცია იყოს ერთ-ერთი პირველი და წარმატებული დანესებულება, აუცილებელია შეფასების ობიექტური მეთოდების ფართოდ დანერგვა. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩატარება უნდა მოხდეს არა მარტო კლინიკური უნარჩვევების კურსის დროს არამედ კლინიკური ძირითადი კლერკშიფების შემდეგაც. სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის პირობებში (მედიცინის ფაკულტეტზე 4 წლის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობაა $100+100+100+150=450$, თუმცა 6 წლის განმავლობაში მედიცინის პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობა გამოვა $450+150+150 = 750$) ობიექტურად

სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ჩასატარებლად არსებული ინფრასტრუქტურა (4 ოთახი, გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შეიძლება 2 თუ 3 ოთახის დამატება) არ არის საკმარისი სრულყოფილი OSCE-ს გამოცდის ჩასატარებლად, რომლის დროსაც უნდა მიყოს 10 სადგურზე მეტი. მით უმეტეს გაზრდილი სტუდენტების რაოდენობის და გაზრდილი OSCE-ს ტიპის გამოცდების ფონზე.

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმაში სტუდენტების რაოდენობის პარალელურად **როგორ გეგმავს უნივერსიტეტი მიღწეული შედეგების შენარჩუნებას და გაუმჯობესებას, მითითებულია შემდეგი** - „აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით გთხოვთ, გაცნოთ საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმას. აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს უნივერსიტეტმა რეავტორიზაცია გაიარა მიმდინარე წლის 17 ივნისს და 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2021 წლის 01 ივლისს“. აღნიშნული თვითშეფასების ფორმა არ იყო ხელმისაწვდომი, ასევე ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 8000-ით. - „შპს საქართველოს უნივერსიტეტს (ს/კ: 205037137) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი), ერთი წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 8000-ით“. ჯგუფი, ასევე, იზიარებს ავტორიზაციის დროს გაცემულ რეკომენდაციებს სამედიცინო განათლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებისა და OSCE, SCO, Mini-Cex და სხვ. (რეკომენდაცია ავტორიზაციის დასკვნიდან - სტ3- გადაიხედოს სამედიცინო განათლების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება და კარგად იქნეს გამოყენებული OSCE, SCO, Mini-Cex და ა.შ.) ერთეულების გამოყენების თაობაზე, რადგანაც დაწესებულებამ სხვადასხვა პარამეტრის გამოყენებით უნდა შეაფასოს ნებისმიერი - საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო თუ ერთსაფეხურიანი - პროგრამის საჭიროება და შეუსაბამოს სტუდენტების გაზრდილ რაოდენობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (23.07.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები;
- ბაკალავრიატში სწავლის დებულება;
- მაგისტრატურაში სწავლის დებულება;
- სადოქტორო სწავლების დებულება;
- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- სტუდენტების რაოდენობის გაზრდის პარალელურად უნდა მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) ინფრასტრუქტურის განახლება.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- საქართველოს უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ქართულის ენის სწავლება ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან მედიცინის პროგრამაზე, რათა მედიცინის სტუდენტებმა შეძლონ პაციენტთან დამოუკიდებლად კომუნიკაცია და შეიძინონ კარგი კომუნიკაციური უნარები პაციენტებთან ურთიერთობისთვის;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალს სჭირდება ტრენინგი ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის არსისა და მისი ჩატარების შესახებ.

4. უსდ-ის პერსონალი

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად იძლევა ინსტიტუციის აკადემიური/ადმინისტრაციული/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა (მათ შორის სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა) და კვალიფიკაცია იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციის მიერ ეფექტურად იქნას წარმატული საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესები, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია სრულად იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია ნაწილობრივ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია არ იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საქართველოს უნივერსიტეტის საავტორიზაციო თვითშეფასებაში მოცემულია პერსონალის რაოდენობასთან დაკავშირებული სამიზნე ნიშნულები, რომელიც წარმოადგენს საკვანძო პარამეტრებს აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მონვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის განსაზღვრისათვის. დაწესებულების სხვადასხვა სახის მარეგულირებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი თანაფარდობები განსხვავდება დაწესებულების ავტორიზაციის განაცხადში წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულებისაგან, თუმცა ჩანს, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ავტორიზაციის განაცხადის სამიზნე ნიშნულებს (იხ. ცხრილში მოყვანილი მონაცემები).

საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და საავტორიზაციო თვითშეფასების მიხედვით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს წარმოდგენილი თანაფარდობების შენარჩუნება 2027 წლამდე. ავტორიზაციის განაცხადისათვის

დანესებულება პასუხობდა მოცემულ სამიზნე ნიშნებს დანესებულების აქტიური სტუდენტების რაოდენობისთვის - 6733 სტუდენტი.

პარამეტრი	სამიზნე ნიშნული	ფაქტობრივი მაჩვენებელი ავტორიზაციის განაცხადით	ფაქტობრივი მაჩვენებელი კონტიგენტის გაზრდის ვიზიტის დროს	უნივერსიტეტის საჭიროებები 12 000 სტუდენტისათვის
აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	1/10 0,1	849/6733 0,12	876/7245 0.12	1200 აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალი
აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან	12/1 12	849/65 13	876/67 13	972 აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალი / 81 პროგრამაზე
ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან	4/100 0,04	293/6733 0,04	293/7245 0.04	480 ადმინისტრაციული პერსონალი 12 000 სტუდენტზე
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მონვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან	1/4 0,25	207/849 0,24	234/876 0.24	360 აფილირებული აკადემიური პერსონალი /1440 აკადემიური და მონვეული პერსონალი
აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის	3/100 0,3	207/6733 0,325	234/7245 0,31	

თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან				360 აფილირებული აკადემიური პერსონალი /12 000
---------------------------------------------	--	--	--	----------------------------------------------------

კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებული ვიზიტის დროს, დაწესებულების მხრიდან დაფიქსირებული აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 7245 სტუდენტს, მაშინ, როდესაც განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ფიქსირდებოდა აქტიური სტატუსის მქონე 5000 სტუდენტი. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის განახლებული მონაცემები, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ დაწესებულება პრაქტიკაში იყენებს აკადემიური, მონვეული, ადმინისტრაციული პერსონალის დადგენილ თანაფარდობებს სტუდენტების რაოდენობასთან და ზრუნავს სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებაზე. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები ფაკულტეტების მიხედვით, რისთვისაც გათვალისწინებულია ფაკულტეტის სპეციფიკა და საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების დამატებისას და აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულებას უნდა გააჩნდეს და იყენებდეს წარმოდგენილი თანაფარდობების შენარჩუნების მექანიზმებს.

შესაბამისად, პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადანყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ხოლო ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტიგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში, აკადემიური და მონვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში და სხვაგან.

მიმდინარე ეტაპისათვის უნივერსიტეტის პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობასთან (შენარჩუნებულია აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან ნიშნულით 1/10). უნივერსიტეტის სტრატეგიით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტუდენტების რიცხვის ეტაპობრივი ზრდა, მათ შორის უცხოელი სტუდენტების ყოველწლიური მიღების ზრდა - 2025 წლისათვის 2000 უცხოელი სტუდენტის მიღება და ამ რაოდენობის შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში. უნივერსიტეტის სტრატეგიაა მოიწვიოს ინგლისურენოვანი უცხოელი პროფესორა, რისთვისაც იყენებს საერთაშორისო თანამშრომლობას, სხვადასხვა აკადემიურ ქსელებსა და საინფორმაციო კამპანიებს.

	2021-2022	2022-20	2023-202	2024-202	2025-202	2026-202	2027-2028
აკადემიური წელი:		23	4	5	6	7	
სტუდენტების ჯამური რაოდენობა	6161	6608	7341	8626	9917	10930	11751
მათ შორის, უცხოელი სტუდენტების წლიური მიღება:	700	950	1300	1800	2000	2000	2000

უნივერსიტეტის მიერ წლების განმავლობაში დაგეგმილი სტუდენტების საერთო კონტინგენტი (სტრატეგიული გეგმის მიხედვით) მოცემულია ცხრილში, საიდანაც ჩანს, რომ უნივერსიტეტი მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის სტუდენტების (12 000) მიღწევას გეგმავს 2027-2028 სასწავლო წლისათვის, ხოლო არსებული ზღვრული კონტინგენტისა (8 000) - 2024-2025 სასწავლო წლისთვის. დაწესებულებამ 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიიღო ამ წლისთვის სტრატეგიულად დაგეგმილი კონტინგენტის 60 % (1350 სტუდენტი 2285-ის ნაცვლად), რამაც შესაძლებელია გარკვეულწილად გადაავადოს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის მიღწევის ვადები.

ამასთან, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან, ნიშნულით 12/1, ხოლო 2027 წლისათვის პროგრამების რაოდენობა მიაღწევს 81-ს (იხ. სტრატეგიული გეგმა). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტების მიხედვით ეს სამიზნე ნიშნულიც სპეციფიკურია და მერყეობს 9/1-დან 20/1-ის ფარგლებში.

შესაბამისად, რადგან დაწესებულებას სურს ეს სამიზნე ნიშნული - აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან - 12/1, შეინარჩუნოს 2027 წლამდე, მისი აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული პერსონალის რაოდენობა უნდა შეადგენდეს დაახლოებით 12x81 (პროგრამების დაგეგმილი რაოდენობა)=972-ს და მათ შორის 360 აფილირებულ პროფესორს (სამიზნე ნიშნულისათვის 3/100). ამ შემთხვევისათვის დაწესებულებას მოუწევს შეინარჩუნოს და არ გაზარდოს არააფილირებული აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობა (რომელიც 2021 წლის ავტორიზაციისას შეადგენს 642-ს).

გაზრდილი სტუდენტების კონტიგენტისათვის უნივერსიტეტის გამონვევაა აფილირებული პროფესორის რაოდენობის შენარჩუნება მის მიერ დადგენილი 3/100 სამიზნე ნიშნულზე, რაც ნიშნავს 360 აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ინტერვიუებზე აცხადებს, რომ აფილირებული პერსონალის ზრდის კვალდაკვალ დაწესებულება გაზრდის არააფილირებული პერსონალისა და მონვეული პერსონალის რაოდენობას, შესაბამისად, თუ დაწესებულება თვლის, რომ 12 000 კონტიგენტისათვის აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობის ზრდა აუცილებელია, მაშინ მან უნდა გადახედოს და შეცვალოს სამიზნე ნიშნულები. წარმოდგენილი რეკომენდაცია განპირობებულია შემდეგი გარემოებით: სამიზნე ნიშნული - აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მონვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს 1/4, რაც ნიშნავს, რომ 360 აფილირებულის შემთხვევაში დაწესებულებას უნდა ჰყავდეს 3-ჯერ მეტი არააფილირებული და მონვეული პერსონალი, დაახლოებით 1080. სულ ჯამურად კი - 1440 აკადემიური და მონვეული პერსონალი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 972-ს.

ამრიგად, რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის, პროგრამების და სტუდენტების თანაფარდობების მხრივ და კორექტირება შეიტანოს მასში სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ამ ეტაპზე, დაწესებულების სტუდენტთა არსებული კონტიგენტის პირობებში, ინსტიტუციის პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია იძლევა საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას. მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულების მზაობა 12 000 სტუდენტისათვის ნაწილობრივად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ფაქტიურ გარემოებებზე დაყრდნობით, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობისათვის (უნივერსიტეტის გეგმით 8000-ზე მეტი სტუდენტი 2024 წლიდან და 12 000 სტუდენტი 2027 წლისათვის) უნივერსიტეტის მზაობის ზუსტი შეფასება - შეუძლებელია. ამასთან, დაწესებულების მიმართება, სტრატეგიული გეგმა, სამიზნე ნიშნულები და პერსონალის მართვის პოლიტიკა იძლევა აღნიშნულის მიღწევის შესაძლებლობას 2024-2027 წლებისათვის.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - საქართველოს უნივერსიტეტის, როგორც ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასება (17.03.2021);
 - საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (23.07.2021);

- საქართველოს უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დებულება;
- საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს მის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულებს აკადემიური პერსონალის, პროგრამებისა და სტუდენტების თანაფარდობების მხრივ და კორექტირება შეიტანოს მასში სამიზნე ნიშნულების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადანყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

-

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად ეფექტურად განახორციელებს ინსტიტუცია სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებს სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა):

- ეფექტურად განახორციელებს
- ნაწილობრივ ეფექტურად განახორციელებს
- ეფექტურად ვერ განახორციელებს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას. უნივერსიტეტი ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ამ ღონისძიებებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბი, რომლის მიზანია საერთო ინტერესის/მიზნების ირგვლივ სტუდენტების ნებაყოფლობითი გაერთიანება. კლუბი უნივერსიტეტისგან ავტონომიურია. კლუბს საკუთარი აქტივობების დაფინანსების მიზნით შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს. სტუდენტური

კლუბის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, კურსდამთავრებული ან თანამშრომელი. სტუდენტური კლუბის მენტორი არის საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია კლუბის საქმიანობაში. კლუბს ხელმძღვანელობს კლუბის პრეზიდენტი. სტუდენტური პროექტების დაფინანსების ფონდის მოცულობა განისაზღვრება საქართველოს უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტით. ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოთხოვნილი იყო სტუდენტური პროექტი და დაწესებულებამ მოგვანოდა ერთ ერთი პროექტი, რომლის სახელწოდებაცაა “ლიტერატურული კლუბი - ქილაძეების შემოდგომა”. პროექტში მოცემულია პროექტის აღწერა, გეგმა და ბიუჯეტი.

საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შექმნილ თვითმმართველ ერთეულს. ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე უნივერსიტეტში იქმნება ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობები. სტუდენტური თვითმმართველობა უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში და ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას. სტუდენტური თვითმმართველობა აერთიანებს როგორც ქართველ, ასევე საერთაშორისო სტუდენტებს თითოეული ფაკულტეტიდან. თუმცა, უმჯობესია სტუდენტური თვითმმართველობა უფრო აქტიურად იყოს ჩართული უნივერსიტეტის მართვის სისტემაში და სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდამდე მკაფიოდ იყოს განერილი უფლება - მოვალეობები.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებისა და კარიერული მხარდაჭერის სერვისებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც მოიძიებს პოტენციურ დამსაქმებლებს და უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მათთან კომუნიკაციას. სამსახური აწყობს სტუდენტებისთვის დასაქმების ფორუმს. სტუდენტებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს, მაგ. CV - ის შედგენის ვორკშოპი, HR ბიზნეს სამიტი, თვითმენეჯმენტი კარიერაში, სამოტივაციო წერილის შედგენა, პერსონალური ბრენდინგი და ნეტვორკინგი და სხვ.

უნივერსიტეტში არსებობს კურსდამთავრებულთა და სტუდენტურ საქმეთა ცენტრი, რომლის მიზანია სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნება და მათი ჩართვა მიმდინარე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში; საინტერესო სტუდენტური ცხოვრების: სტუდენტთა კურიკულუმგარეშე სპორტული, კულტურული, სათავგადასავლო ღონისძიებების და ინიციატივების, ასევე თვითმმართველი სტუდენტური კლუბების ხელშეწყობა; სტუდენტურ თვითმმართველობასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის მეკავშირეობა. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს პროგრამით გათვლისწინებულ სტუდენტურ პრაქტიკა/სტაჟირებას. თუმცა, გასათვალისწინებელია რამდენად ეფექტიანად გაივლიან სტუდენტები პრაქტიკას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში. კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში სასურველია, გაფორმდეს დამატებითი მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციასთან/კომპანიასთან/სამედიცინო დაწესებულებასთან, რათა სტუდენტთა პრაქტიკული ნაწილი განხორციელდეს შეუფერხებლად და ეფექტურად.

სტუდენტისთვის, ვინც ინდივიდუალური სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებიდან გამომდინარე საჭიროებს აკადემიური მომზადებისათვის სწავლა/სწავლების, შეფასების და ა.შ. სათანადო ფორმებსა და სპეციალურ პირობებს, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული სტუდენტისთვის, მისი კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური მიდგომის პრინციპით განისაზღვრება სტუდენტისთვის სასწავლო კურსების თანმიმდევრობა, საათობრივი დატვირთვა, მეთოდები და ა.შ.

უნივერსიტეტის აკადემიური და მონვეული პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას დეპარტამენტის/სკოლის პრაქტიკულ და სამეცნიერო – კვლევით საქმიანობაში. დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად. დოქტორანტს შეუძლია სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობის მიზნით, მოითხოვოს სწავლის სრული საფასურის 1/3-ის ოდენობით დაფინანსება

დოქტორანტურის სრული (3 წლიანი) ციკლის განმავლობაში. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება სადისერტაციო საბჭოზე. სადისერტაციო საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 7 წევრისგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის სამეცნიერო - საკონსულტაციო საბჭოს წევრები (გარდა დოქტორანტის ხელმძღვანელისა/თანახელმძღვანელისა) და ექსპერტები. სადისერტაციო საბჭოზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის აუცილებელია დოქტორანტს დოქტორანტურის პროგრამაზე სწავლების პერიოდში შესაბამის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სტატია/პუბლიკაცია და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული მინიმუმ 1 კონფერენციაში. სტატიასთან/პუბლიკაციასთან/კონფერენციასთან დაკავშირებული კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი დოქტორანტურის პროგრამით.

საქართველოს უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს სოციალურად მონყვლადი პირების მხარდაჭერის სერვისი, დედამიშვილის შეღავათები და სტიპენდიები. უნივერსიტეტმა მოგვანოდა ამ სხვადასხვა ტიპის შეღავათების ბრძანებები, სადაც კონკრეტულად არის განერილი მათი დაფინანსების საკითხები და პროცედურები.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოხსენებული აქტივობების უმეტესობა ხორციელდება პერსონალის შეზღუდული რაოდენობის აქტიური ჩართულობით და უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მართვის დებულება;
- სტუდენტურ საქმეთა დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- საბაკალავრო სწავლების დებულება;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- დოქტორანტურის დებულება;
- კარიერული მხარდაჭერის სერვისები;
- სოციალურად მონყვლადი პირების დებულება;
- სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- შემუშავდეს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის ეტაპობრივი ზრდის გეგმა სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების ეფექტური განხორციელების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- კარგი იქნება თუ სკოლის საბჭოში სტუდენტების წარმომადგენელი არჩეული იქნება არა სემესტრულად, არამედ ერთი წლის ვადით;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში სასურველია, გაფორმდეს დამატებითი მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციასთან/კომპანიასთან/სამედიცინო დაწესებულებასთან, რათა სტუდენტთა პრაქტიკული ნაწილი განხორციელდეს შეუფერხებლად და ეფექტურად.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუცია საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებას, კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში.

სრულად უზრუნველყოფს

ნაწილობრივ უზრუნველყოფს

ვერ უზრუნველყოფს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხედვის მიხედვით, უნივერსიტეტი უნდა გახდეს წარმატებული ინოვაციური დაწესებულება, როგორც სასწავლებელი, კვლევითი ინსტიტუცია და ბიზნეს ორგანიზაცია. აღნიშნულ ხედვას ეხმიანება უნივერსიტეტის 7-წლიან სტრატეგიაში წარმოდგენილი და განერილი სამეცნიერო მიზნები და ქვემიზნები. კვლევისა და განვითარების დამატებითი გეგმა უნივერსიტეტს წარმოდგენილი არ ჰქონდა.

მიმდინარე კვლევით საქმიანობას უნივერსიტეტში კურირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების შესაბამისად და რომელიც განაპირობებს საუნივერსიტეტო მმართველობის ისეთ რგოლებთან ფუნქციონალურ თანამშრომლობას როგორცაა: სამეცნიერო კვლევითი პროექტების კომისია, სამეცნიერო ჟურნალის რედაქცია, ოლიმპიადის ცენტრი, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებისა და პროექტების მართვის განყოფილება და სხვ. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ასევე არსებობს ინოვაციური სისტემებისა და სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი. აღნიშნული კვლევითი ერთეულები პირდაპირ ექვემდებარება პრორექტორს სასწავლო-სამეცნიერო დარგში. მათი მთავარი დანიშნულებაა: ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და ხელშეწყობა; ბ) თანამედროვე ცოდნისა და ხარისხზე ორიენტირებული კვლევის ხელშეწყობა და სასწავლო პროცესში მისი ინტეგრირება; გ) ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო, კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და სხვ.

საქართველოს უნივერსიტეტი ხელს უწყობს სწავლების, კვლევისა და ეკონომიკის ინტეგრირებას, რისი ნათელი მაგალითია უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტები სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობა გათვლილია ბიუჯეტში, კერძოდ, 2027 წლამდე იგეგმება სამეცნიერო პროექტების შიდა სახსრების დაფინანსების გაზრდა. 2019 წლისთვის კი საგრანტო ხარჯი 50000 შეადგენს. თუმცა 2020 წლის დაგეგმილი პროექტების სიაში (იხ. დანართი – 6.1. - Projects (planned) 27.05.2020) არ ვლინდება განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების დაფინანსების წყარო (შიდა თუ გარე დაფინანსებით), ხოლო რიგითი ნომერი მინიჭებული აქვს მხოლოდ 40 პროექტს. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ იგეგმება საერთაშორისო პროექტების განხორციელება და ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო ინსტიტუციებთან, რომლებიც შემდგომში განხორციელდება მემორანდუმების საფუძველზე. ასევე, სასურველია მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართულობის გაზრდა კვლევითი პროექტების განხორციელებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სტრუქტურის კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ცდილობს ჩატარებული კვლევების გამოყენებას ტექნოლოგიისა და ინდუსტრიის საჭიროებიდან გამომდინარე, რისი ნათელი მაგალითიცაა start-up-ების სახით ინვესტიციების განხორციელება, რაც ხელს უწყობს ინსტიტუციონალურ განვითარებას და გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით. ასეთი ინიციატივები უზრუნველყოფენ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

დანესებულებაში განხორციელებულ კვლევებში მონაწილეობას იღებენ სტუდენტებიც და ახალგაზრდა მეცნიერებიც, რითაც ხდება კვლევის წარმართვის და კვლევითი შედეგების ინტეგრირება დანესებულების სასწავლო საქმიანობაში, თუმცა ინტერვიუს პროცესში გაირკვა, რომ მედიცინის სტუდენტები არ არიან აქტიურად ჩართული კვლევით აქტივობებში. ასევე იშვიათად ხდება კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება. უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით (2017) ყველა სტუდენტმა უნდა მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევით აქტივობაში. მედიცინის დარგობრივი კომპეტენციები გულისხმობს სამეცნიერო საქმიანობას ექვსწლიანი სასწავლო გეგმის ყველა ეტაპზე. უნდა მოხდეს კვლევითი აქტივობების უფრო სრული ინტეგრაცია სამედიცინო პროგრამაში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია თითოეულ სკოლასთან არსებული კვლევითი ცენტრები, როგორცაა მაგ. ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლასთან არსებული არქეოლოგიის ცენტრი, სამართლის სკოლასთან არსებული კვლევითი ინსტიტუტი-Gnomon Wise და სხვ. აღნიშნულ კვლევით ერთეულებში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს ქვეყნის სამეცნიერო და კულტურული პოტენციალის რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენას.

ზემოხსენებული სამეცნიერო საქმიანობა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემითაც, რომელიც გულისხმობს წელიწადში არაუმეტეს 1760 საათს (კვირაში 40 საათს 44 კვირის განმავლობაში) და მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას. სასწავლო დატვირთვა არ აღემატება კვირაში 20 საათს, სამეცნიერო საქმიანობა არანაკლებია 10 საათზე, საუნივერსიტეტო საქმიანობა არ აღემატება 10 საათს. გასაუბრების დროს, ასევე, გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალი სტუდენტების რაოდენობის ზრდას არ განიხილავს როგორც სამეცნიერო საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორს და აღნიშნავს, რომ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუციების დონეზე ახერხებენ კვლევითი საქმიანობის ფლექსიურ რეჟიმში განხორციელებას და აღნიშნული საქმიანობა არ გულისხმობს სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას და/ან არ აფერხებს სასწავლო პროცესს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით შპს საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 8 (რვა) სადოქტორო პროგრამა, რომლის მიხედვით გრაფიკის სახით ნაწილდება დოქტორანტების ზღვრული რაოდენობის მატება, თუმცა აღნიშნული სია ცდება ამავე დოკუმენტში წარმოდგენილ არამატერიალური რესურსებში განხილულ რაოდენობას, სადაც წერია რომ სადოქტორო პროგრამების რაოდენობა 9 (ცხრა), ხოლო წარმოდგენილ სიაში ცალკე პუნქტებად გამოტანილია პროგრამები, რომლებიც არ განიხილება ზემოხსენებულ გრაფიკში. ყველაფერი ეს ცდება, ასევე, თვითშეფასების ანგარიშში სადოქტორო პროგრამების მითითებულ რაოდენობას, სადაც აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს აქვს 11 (თერთმეტი) სადოქტორო პროგრამა - აღნიშნული ემთხვევა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამების სილაბუსებს, რომლების დამატებითი მასალის სახით დანესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის დროს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ასევე, ვლინდება, რომ საკმაოდ დიდია, როგორც აქტიური, ასევე სტატუს-შეჩერებული დოქტორანტების რაოდენობა. სტატუს-შეჩერებული დოქტორანტების დიდ რაოდენობას უნივერსიტეტის წარმომადგენლები ხსნიან სხვადასხვა გამოშწვევ ფაქტორზე დაყრდნობით, მათ შორის, ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალური ფონით და დოქტორანტების საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკით. ხელმძღვანელთა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობა არის 1/2, სამიზნე ნიშნული 2027 წლისათვის არის 1/4. გარდა ამისა, არ არსებობს შეზღუდვა თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელს, თუმცა აკადემიური პერსონალის განცხადებით ისედაც შეუძლებელია

დიდი რაოდენობის დოქტორანტიებისათვის ხელმძღვანელობის განევა, ამიტომაც არ ხედავენ ამ კუთხით პრობლემას სტუდენტების ზრდის ამოცანიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბოლო ორი წლის განმავლობაში დაცული დისერტაციების სიის მიხედვით, დისერტაციების რაოდენობა 218-ს შეადგენს და ნაწილდება სემესტრების მიხედვით, ხოლო კურსდამთავრებულ დოქტორანტთა რაოდენობა 24-ს. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში მითითებული დაცული დისერტაციების რაოდენობა 31-ს შეადგენს, ხოლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაცული დისერტაციების ავტორეფერატების რაოდენობა 12-ს შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. შპს საქართველოს უნივერსიტეტს აქვს დისერტაციის შეფასებისა და დაცვის გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც დანერგვით აღწერილია სადოქტორო სწავლების დებულებაში. დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო კომიტეტის სხდომაზე 100-ბალანი სისტემის ფარგლებში.

შპს საქართველოს უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ნახალისების წესი. ამ მხრივ, აღსანიშნავია დოქტორანტურის სწავლების დებულების გრანტის გაცემის წესი, რომლის მიხედვით დოქტორანტს შეუძლია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად თუ მისი წლიური სწავლის საფასური უდრის ან აღემატება 3000 ლარს. დოკუმენტში არ არის განხილული წარმოდგენილი განაცხადის განხილვისა და გრანტის გაცემის ვადები, წარმოდგენილი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები თემის აქტუალობიდან გამომდინარე და სხვ., ასევე არ არსებობს სტრატეგია აღნიშნული წესის გამართვისა სტუდენტების კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე.

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალის ნახალისების ფორმა, რომელიც მაღალ-რეიტინგულ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში, გულისხმობს ფინანსურ ნახალისებას. სპეციალურად ამ მიზნით, უნივერსიტეტში შემუშავებულია პრემიის გაცემის წესი, რომლის მიხედვით ნახალისების მისაღებად უნივერსიტეტთან აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს პუბლიკაცია Elsevier-ის ან Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალებში. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სარგებლობენ ნახალისების ამგვარი ფორმით, ნახალისების ოდენობა კი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის ჟურნალის რეიტინგით, ციტირების ინდექსით და სხვ.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სახსრები, მათ შორის, სამეცნიერო პროექტების განხორციელების, კონფერენციების და სხვ აქტივობების უზრუნველყოფის კუთხით, ხოლო სტრატეგიული გეგმის მიხედვით სამეცნიერო პროექტების შიდა სახსრების დაფინანსება 2027 წლამდე გაიზრდება და ყოველწლიურად იქნება არანაკლებ 100000 ლარისა. 2019 წლის მონაცემებით კი საგრანტო ხარჯი 50000 შეადგენს.

ახალი კადრების მოზიდვა ხდება ვაკანსიის გამოცხადების ფარგლებში კანონისა და უნივერსიტეტის შიდაგანანსით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დასაქმების ვებ-გვერდების გამოყენებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აკადემიურ პერსონალს ეძლევა უფრო მეტი შანსი გამოცხადებული ვაკანსიის დაკავებაში. უკანასკნელი კი მოწმობს იმას, რომ უნივერსიტეტს არ აქვს შემუშავებული ახალგაზრდა კადრების მოზიდვის შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია. ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და სწავლების პროცესში მათი ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური კონტინგენტის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე.

შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე და ვიზიტის დროს მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტი ახორციელებს ერთობლივ კვლევით პროექტებს უცხოელ პარტნიორებთან ან ახორციელებს ამ მიმართულებით განსაზღვრულ აქტივობებს კვლევების ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, ორმაგ ხარისხზე ორიენტირებული პროგრამები უნივერსიტეტს არ აქვს, ასევე განხორციელებული ქმედებები ამ ეტაპზე საჭიროებს გაღრმავებას.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p>
<ul style="list-style-type: none"> ● საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2027); ● სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დებულების დანართი # 1 (დაჯილდოების პროცედურა); ● საქართველოს უნივერსიტეტის სადოქტორო სწავლების დებულების დანართი # 13 - გრანტის გაცემის წესი; ● საქართველოს უნივერსიტეტის სკოლების მიერ განხორციელებული საერთაშორისო კვლევითი პროექტები; ● საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციების სია; ● საქართველოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ● ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.
<p>ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები</p>
<ul style="list-style-type: none"> ● მოხდეს კვლევითი აქტივობების სწავლების პროცესში ინტეგრირება განსაკუთრებით სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე და გაიზარდოს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით); ● მოხდეს უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმის დახვეწა მიმართულებების საჭიროებების გათვალისწინებით h-ინდექსის, i10-ინდექსის მითითებით; ● ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო წესი თუ რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს ხელმძღვანელს მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით; ● დაიხვეწოს დოქტორანტურის სწავლების დებულების გრანტის გაცემის წესი ვადებისა და კრიტერიუმების კუთხით კონკრეტული მიმართულებების საჭიროებიდან გამომდინარე და შემუშავდეს სტრატეგია აღნიშნული წესის გამართვისა სტუდენტების კონტინგენტის ზრდის საკითხიდან გამომდინარე; ● დაიხვეწოს ახალგაზრდა კადრების მოზიდვის, შერჩევის, სწავლების პროცესში ჩართვისა და შენარჩუნების სტრატეგია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტური კონტინგენტის ზრდის ამოცანიდან გამომდინარე.
<p>ექსპერტთა ჯგუფის რჩევები</p>
<p>-</p>

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

გთხოვთ შეაფასოთ რამდენად უზრუნველყოფს ინსტიტუტის მატერიალური, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობის პირობებში (გთხოვთ გააკეთოთ შესაბამისი აღნიშვნა).

სრულად უზრუნველყოფს

ნაწილობრივ უზრუნველყოფს

ვერ უზრუნველყოფს

გთხოვთ აღწეროთ და გააანალიზოთ მდგომარეობა ინსტიტუციაში მოცემულ საკითხთან მიმართებით და მოიყვანოთ შესაბამისი მტკიცებულებები

საქართველოს უნივერსიტეტის ავტორიზაციის პროცესში უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები შეფასებულია საკმარისად, რადგან საქართველოს უნივერსიტეტს, ამჟამად, საკმარისი მატერიალური რესურსი, მოძრავი და უძრავი ქონება აქვს. უნივერსიტეტი ფლობს მთავარ შენობას, სადაც განთავსებულია სალექციო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური მუზეუმი, კომპიუტერული კლასები და საგამოცდო ცენტრები, აგრეთვე საქართველოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ოფისები და ზოგიერთი შვილობილი კომპანიის და ლაბორატორიის ოფისები. მთავარ შენობას აქვს ყველა საჭირო საშუალება საგნმანათლებლო საქმიანობისა და კვლევების ჩასატარებლად.

უნივერსიტეტი სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტისათვის - 12000 სტუდენტი გეგმავს კამპუსის მშენებლობას და მისი მიზანია 2027 წლის ბოლოს 12000 სტუდენტზე გათვლილი სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო კორპუსების, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის სათანადო ინფრასტრუქტურის მონყობის დასრულება. უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანი გათვლაა, რომ 2027 წლისთვის არსებობდეს სასწავლო შენობები, რომელთა ჯამური სასწავლო ფართი (სააუდიტორო/სალაბორატორიო) 1.5-ჯერ აღემატება სტუდენტების განსაზღვრულ რაოდენობას. შესაბამისად, 12 000 სტუდენტისათვის ჯამური სასწავლო ფართი უნდა შეადგენდეს 18 000 კვადრატულ მეტრს.

ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული იყო კამპუსის მშენებლობისთვის სათანადო მიწის ნაკვეთების შექმნა 2020 – 2021 წლებისათვის, რაც განხორციელებულია.

უნივერსიტეტი კამპუსის მშენებლობისათვის გეგმავს მოიძიოს „20,000,000 აშშ-ის დოლარის მოცულობის დაფინანსება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კორპორაციიდან DFC, ასევე მოხდება პროექტის ნაწილობრივ კაპიტალით დაფინანსება. კომპლექსის გარკვეული ნაწილის მშენებლობა შესაძლოა გრძელვადიანი ლიზინგის (სარგებლობა-გამოსყიდვა) გზით დაფინანსდეს“ (იხ. სტრატეგიული გეგმა).

ამასთან, ეტაპობრივად, მიმდინარე პერიოდისათვის, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით დადგენილია „განაშენიანების გენერალური გეგმის შედგენა, ცალკეული შენობების დაპროექტება და პროექტის შეთანხმება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან 2021 – 2022 წწ“. ასევე 2022 წლის I კვარტლის ბოლოს უნდა არსებობდეს სასწავლო და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტები.

ამჟამად უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენს 7946 კვ. მეტრს. უნივერსიტეტის საავტორიზაციო განაცხადში, სტრატეგიულ გეგმასა და შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამების დებულებაში აღნიშნულია, რომ სტუდენტზე უნდა მოდიოდეს მინიმუმ 2 კვ. მეტრი. უნივერსიტეტის გათვლებით სასწავლო პროცესის 3 ცვლის შემთხვევაში სასწავლო ფართი (7946 კვ.მ.) მოემსახურება 12000 სტუდენტს (7946კვ.მ.* 3 ცვლა/2 სტუდენტი/კვ.მ.*ცვლა=12 000 სტუდენტი). ამასთან, ამჟამად, პანდემიის პირობების გათვალისწინების გარეშე, დაწესებულია მუშაობს სამ ცვლაში, სალამო საათებში სწავლებით ძირითადად დატვირთულია სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები. უნივერსიტეტისათვის გამონვევა საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებით, სტრატეგიული გეგმის მიხედვით ამ სტუდენტების რაოდენობა 2024 წლისათვის იქნება 7553, ხოლო 2027 წლისათვის 10 242 სტუდენტი. ამ დროისათვის უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს ახალი კომპლექსის ამოქმედება და თითოეულ სტუდენტზე 1,5 კვ. მეტრი სასწავლო ფართის

უზრუნველყოფა. უნივერსიტეტი თავის სტრატეგიაში გეგმავს ეტაპობრივად გაზარდოს სტუდენტების ერთსაფეხურიანი ჯანდაცვის მიმართულების პროგრამებზე (სტომატოლოგია და მედიცინა), მაგალითად, თუ 2021 წელს ავტორიზაციის განაცხადით სტომატოლოგიაზე სტუდენტთა რაოდენობა არის 605, 2027 წელს უნივერსიტეტის გეგმაა ჰყავდეს 1300 სტუდენტი (ჯამურად, 5 კურზე), ხოლო მედიცინის პროგრამაზე 2021 წელს ავტორიზაციის განაცხადით ირიცხებოდა 563 სტუდენტი და უნივერსიტეტის გეგმაა 2027 წლისათვის ჰყავდეს 875 სტუდენტი (ჯამურად, ექვსივე კურსზე). შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინენტს.

საქართველოს უნივერსიტეტის მიერ მონოდეზულ დოკუმენტაციაში მცირე შეუსაბამობაა პრაქტიკის დაწესებულებებთან დაკავშირებით. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის ფორმაში მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტებიდან მითითებულია 10 დაწესებულება: "ნიუ ჰოსპიტალსი", "ჰელსი ბეიბი", დერმეტოლოგიისა და ვენეროლოგიის ცენტრი, "ინოვა", მედკაპიტალი, კლინიკა "ბაიბი", სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა, ინფექციური პათოლოგიის და შიდსის ცენტრი, კონსილიუმ "მედულა", „ჰეპა“.

უნივერსიტეტის მიერ მონოდეზულ დოკუმენტში - „პრაქტიკის ობიექტები“, მედიცინის პროგრამაზე მითითებულია მხოლოდ 8 დაწესებულება: ნიუ ჰოსპიტალსი, მზიური მედი, სამშობიარო სახლი „ბაიბი“, კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, მედკაპიტალი, კონსილიუმ მედულა, ხეჩინაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა, კლინიკა ჰეპა.

დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტში - „საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ინფორმაცია ა.წ. 12 ნოემბრის ავტორიზაციის ვიზიტის კითხვების შესაბამისად“ მითითებულია 26 ობიექტი სადაც მედიცინის პროგრამის სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას.

ნიუ ჰოსპიტალს-ში - უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტის შემდეგი როტაციის დროს გაშვებას - შინაგანი მედიცინა, ქირურგია, ნევროლოგია, ჰემატოლოგია, ტრავმატოლოგია ორთოპედია, დერმატოლოგია, პედიატრია, გინეკოლოგია, ანესთეზია და რეანიმატოლოგია, გადაუდებელი მედიცინა და ონკოლოგია. ობიექტზე ვიზიტის დროს დაწესებულების ადმინისტრაცია არ იყო ინფორმირებული თუ კონკრეტულად რა საგნებს გაივლიდნენ სტუდენტები და კლინიკის რომელი თანამშრომელი გაუწევდა მათ კურირებას. ინტერვიუს დროს მხოლოდ 2 როტაციის - შინაგანი მედიცინის და გადაუდებელი მედიცინის პედაგოგთან მოხერხდა გასაუბრება.

ამავე დოკუმენტში „საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ინფორმაცია ა.წ. 12 ნოემბრის ავტორიზაციის ვიზიტის კითხვების შესაბამისად“ - მითითებულია, რომ პედიატრიის კურსივალს სტუდენტები გაივლიან - „ნიუ ჰოსპიტალსში“, „ვეექსში“, „მზიური მედსა“ და „ნეოლაბში“. „ნიუ ჰოსპიტალსში“ ვიზიტისას პედიატრიაზე საერთოდ არ იყო საუბარი, ვექსი - ეს არის ამბულატორიებისა და ჰოსპიტლების ქსელის ზოგადი სახელი, სასურველია კონკრეტული დაწესებულება იყოს მითითებული, რათა შეფასდეს მისი საგანთან შესაბამისობა, „მზიური მედი“ ამბულატორიული დაწესებულებაა, ამიტომ მხოლოდ ამ დაწესებულებაში კურსის გავლა არ არის სწორი, აუცილებელია სტუდენტს შეხება ჰქონდეს სტაციონარულ პაციენტთან, რაც შეეხება „ნეოლაბს“ - ის არ არის პედიატრიული პროფილის დაწესებულება, ამიტომ როგორ უნდა გაიაროს სტუდენტმა პედიატრიული კურსი გაუგებარია.

ადგილზე ვიზიტის დროს მოხდა საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის დათვალიერება, მათ შორის, სარეკრეაციო სივრცეების, თეორიული სწავლების აუდიტორიების, ადმინისტრაციული სათავსოების, სანიტარული კვანძების, ბიბლიოთეკის, დარგობრივი სპეციფიკის ლაბორატორიების, არქივის და სხვ. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ უმეტესწილად წარმოდგენილი ინფრასტრუქტურა შეესაბამება საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ წარმართვას. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობებს აქვთ ბუნებრივი განათება, საჭიროების შემთხვევაში ხდება გენერატორის გამოყენება. შენობებში დადასტურებულია ევაკუაციის გეგმები და

ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები, რომლის განახლება ხდება წელიწადში ერთხელ, პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები. ასევე, ვიზიტის დროს მოხდა მეოთხე კორპუსში არსებული სამედიცინო კაბინეტის დათვალიერებაც. პანდემიის პრევენციის მიზნით შენობა-ნაგებობები აღჭურვილია სადეზინფექციო საშუალებებით და ხდება პერსონალის შემოწმება.

ვიზიტის დროს, ასევე, დადასტურდა, რომ ცენტრალური შენობები უზრუნველყოფილია პანდუსებით და სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე გათვლილი ლიფტებით და სანიტარული კვანძებით. თუმცა ცენტრალურ შენობაში პირველ სართულზე მდებარე სანიტარული კვანძი არ ფუნქციონირებდა, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით გამოწვეული იყო სარემონტო სამუშაოებით. დამატებით შენობა-ნაგებობაში მდებარე ლაბორატორიის წინ იყო პანდუსი, თუმცა თვითონ შენობის წინ პანდუსი არ იყო, ასევე არ იყო სპეციალური საჭიროების მქონე პირებზე გათვლილი ლიფტი, რაც შეუძლებელს ხდის სსმ პირებისათვის ლაბორატორიამდე მისვლას.

უნივერსიტეტის **ფინანსური რესურსები** სტაბილურია და როგორც ჩანს, უნივერსიტეტი სათანადო ზომებს იღებს ამ მდგრადი სტატუსის შესანარჩუნებლად. ეს, ასევე, საშუალებას აძლევს საქართველოს უნივერსიტეტს, გაზარდოს ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში. ამასთან, რა თქმა უნდა, დაწესებულებისა და ფინანსური რესურსების სამსახურის გამოწვევაა კამპუსის მშენებლობისათვის მოიძიოს 20,000,000 აშშ-ის დოლარის მოცულობის დაფინანსება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ფინანსური კოორპორაციიდან DFC, ასევე მოხდეს პროექტის ნაწილობრივ კაპიტალით დაფინანსება ან კომპლექსის გარკვეული ნაწილის მშენებლობა გრძელვადიანი ლიზინგის (სარგებლობა-გამოსყიდვა) გზით.

საქართველოს უნივერსიტეტის **საბიბლიოთეკო რესურსები** თანამედროვეა, საბიბლიოთეკო სერვისი კარგად ფუნქციონირებს. ბიბლიოთეკის მუშაობის გრაფიკი გათვლილია სტუდენტთა სწავლებაში გამოყენებულ სამ სამუშაო ცვლაზე.

უნივერსიტეტის **ინფორმაციული სისტემები** პასუხობს თანამედროვე გამოწვევებსა და მოთხოვნებს. My UG და Online UG მიზიძველ სისტემას სთავაზობს როგორც სტუდენტებს, ასევე პერსონალს მისი უამრავი ფუნქციით. უნივერსიტეტი მომზადებული შეხვდა პანდემიით გამოწვეულ საჭიროებებს და სასწავლო პროცესის განხორციელებაში გამოიყენა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტების სწავლებისათვის ძირითადად იყენებენ Microsoft Teams პლატფორმას, ხოლო მაგისტრატურაში Zoom პლატფორმას. სასურველია უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ნათელი ხედვა ამ პლატფორმებისა და ელექტრონული სწავლების მიდგომების გამოყენებისა პანდემიის შემდგომ ეტაპზე, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეამციროს მოთხოვნა სააუდიტორიო ფართზე. ასეთი ხედვები და შეფასებები დაფიქსირდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლების მიერ ამ ეტაპზე ეს საკითხი არ არის სათანადოდ შეფასებული და გათვლილი.

კვლავ ძალაში რჩება ავტორიზაციის რეკომენდაცია უნივერსიტეტის ვებგვერდთან დაკავშირებით, რადგან იგი საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებებს, რათა ინფორმაცია მეტად ხელმისაწვდომი გახდეს საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალისთვის, ასევე სხვა დაინტერესებულ პირთათვის, კერძოდ, უნივერსიტეტის ვებგვერდი არ მოიცავს საკმარის ინგლისურენოვან ინფორმაციას მისი სტრატეგიული გეგმების შესახებ და სხვ.

ამ ეტაპზე, დაწესებულების სტუდენტთა არსებული კონტიგენტის პირობებში, ინსტიტუციის მატერიალური, საბიბლიოთეკო საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას. მიმდინარე ეტაპზე, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობისათვის (12000 სტუდენტი) დაწესებულების მზაობა ნაწილობრივად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ფაქტიურ გარემოებებზე დაყრდნობით, სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობისათვის (უნივერსიტეტის გეგმით 8000-ზე მეტი სტუდენტი 2024 წლიდან და 12 000 სტუდენტი 2027 წლისათვის) უნივერსიტეტის მზაობის ზუსტი შეფასება შეუძლებელია. ამასთან, დაწესებულების მიმართება, სტრატეგიული გეგმა და ფინანსური, საინფორმაციო და

საბიბლიოთეკო რესურსები იძლევა აღნიშნულის მიღწევის შესაძლებლობას 2024-2027 წლების პერიოდისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- საქართველოს უნივერსიტეტის, როგორც ავტორიზაციის სტატუსის მქონე თვითშეფასება (17.03.2021);
- საქართველოს უნივერსიტეტის განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ (23.07.2021);
- საქართველოს უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლისათვის ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- უნივერსიტეტის 2020 ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის 2021 ფისკალური წლის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს/გასაუბრებების შედეგები საქართველოს უნივერსიტეტის პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;
- რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად განეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები

- სასურველია უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ნათელი ხედვა დისტანციური სწავლების პლატფორმებისა და ელექტრონული სწავლების მიდგომების გამოყენების პანდემიის შემდგომ ეტაპზე, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შეამციროს მოთხოვნა სააუდიტორიო ფართზე. ასეთი ხედვები და შეფასებები დაფიქსირდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, თუმცა უნივერსიტეტის მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლების მიერ ამ ეტაპზე ეს საკითხი არ არის სათანადოდ შეფასებული და გათვლილი.